

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N4

ქ.ვანი

23 იანვარი 2018 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიგა გოგიბერიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: გიგა გოგიბერიძე, დავით ხარძეიშვილი, მალხაზ ცერცვაძე, შოთა გიორგაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, ბიჭიკო პაიკიძე, პაატა ხურციძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე, სანდრო ხურციძე, აპოლონ რამიშვილი.

საკრებულოს აპარატის საორგანიზციო განყოფილების მთვარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: რობიზონ ფუტყარაძე.

დასწრების ფურცელი თან ერთვის /დანართიN1/.

სხდომა გახსნა ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც დასამტკიცებლად წარადგინა სხდომის

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“.

მომხს: მიხეილ სვანაძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ადმინისტრაციული შენობის (ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65) პირველ სართულზე არსებული 1.5 კვმ არასაცხოვრებელი ფართის ს.ს „ლიბერთი ბანკი“-სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემასა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრულ ოდენოზე თანხმობის მიცემისა და „ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული 1.5 კვმ არასაცხოვრებელი ფართის ს.ს „ლიბერთი ბანკი“-სთვის იჯარით,

პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 8 აპრილის N27 12 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“.

მომხს: მიხეილ სვანაძე

3. ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზაციო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე“.

მომხს: მიხეილ სვანაძე

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და დაამტკიცეს სხდომის დღის წერიცი

მომხრე - 12

წინააღმდეგი - არცერთი

დანართი N2

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა, ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ და განმარტა, რომ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლისა და „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

ქ. ვანის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნეს:

ა) შესაბამისი დასახლების მაკრომდებარეობის ინდექსი - Img;

ბ) ლოკალური ტერიტორიული ინდექსი - ITL;

გ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 1კვმ-ზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი - C;

დ) მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი - K.

ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი

ერთეულის საკუთრებაში არსებული 1კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი განისაზღვროს:

ა) ქ. ვანის ტერიტორიაზე - 8,88 ლარით;

ბ) ვანის მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე - 4,00 ლარით;

გ) ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მ-ის რადიუსში - 6,00 ლარით;

დ) დასახლებათა შორის არეალებში - 3,00 ლარით“ .

კომისიის წევრებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - არცერთი

დანართი N3

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ადმინისტრაციული შენობის (ქ.ვანი, თავისუფლების ქ.N65) პირველ სართულზე არსებული 1.5 კვმ არასაცხოვრებელი ფართის ს.ს „ლიბერთი ბანკი“-სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემასა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრულ ოდენოზე თანხმობის მიცემისა და „ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული 1.5 კვმ არასაცხოვრებელი ფართის ს.ს „ლიბერთი ბანკი“-სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 8 აპრილის N27 12 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ და განმარტა, რომ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს ადმინისტრაციული შენობის (ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65) პირველ სართულზე არსებული 1.5 კვმ არასაცხოვრებელი ფართის ს.ს „ლიბერთი ბანკი“-სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემაზე.

2. მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს ადმინისტრაციული შენობის (ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65) პირველ სართულზე არსებული 1.5 კვმ არასაცხოვრებელი ფართის ს.ს „ლიბერთი ბანკი“-სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, პირობით გადაცემისას წლიური საიჯარო ქირა განსაზღვროს 360 (სამასსამოცი) ლარის ოდენობით.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ადმინისტრაცია ციული შენობის (ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65) პირველ სართულზე არსებული 1.5 კვმ არასაცხოვრებელი ფართის ს.ს „ლიბერთი ბანკი“-სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 8 აპრილის N 27 12 განკარგულება.

კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა მოიწონეს დღის წესრიგით წარმოდგენილი მეორე პროექტი და აღნიშნეს, რომ მისასაღმებელია თუ ბანკომატი დაიდგმება აღნიშნულ ადგილზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენ ეს პროექტი შარშანაც გვქონდა წარმოდგენილი მაგრამ ვერ შევთანხმდით ლიბერთი ბანკის წარმომადგენელთან.

სხვა მოსაზრებები კომისიის მხრიდან არ დაფიქსირებულა .

წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე - 12

წინააღმდეგი - არცერთი

დანართი N4

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსმა - მიხეილ სვანაძემ, წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე“ და განმარტა, რომ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ და „ე.დ“ ქვეპუნქტებისა და 119-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად,

1. ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი იქნას მუნიციპალური საკუთრების შემდეგი ობიექტები:

1.1 ქ. ვანში, სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 64 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კ 31.01.26.320;

1.2 სოფ. დიხაშხოში მდებარე 2005 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.28.158);

1.3 სოფ. დიხაშხოში მდებარე 5859 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.28.159);

1.4 სოფ. ყუმურში მდებარე 79350 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.05.24.029);

1.5 სოფ. ყუმურში მდებარე 16991 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.05.24.030);

2. პირველი პუნქტის 1-6 ქვეპუნქტებით ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი ფასი განისაზღვროს შემდეგნაირად:

2.1 ქ. ვანში, სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 64 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.26.320) – 6400 (ექვსიათასოთხასი) ლარი;

2.2 სოფ. დიხაშხოში მდებარე 2005 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.28.158) - 600 (ექვსასი) ლარი;

2.3 სოფ. დიხაშხოში მდებარე 5859 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.28.159) - 1750 (ათასშვიდასორმოცდაათი) ლარი;

2.4 სოფ. ყუმურში მდებარე 79350 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.05.24.029) – 12000 (თორმეტიასი) ლარი;

2.5 სოფ. ყუმურში მდებარე 16991 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.05.24.030) – 3000 (სამიასი) ლარი;

განხორციელდეს კანონით გათვალისწინებული ფასდაკლება სოფ. ყუმურში მდებარე 224 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (31.05.23.024) მიმართ და მისი საწყისი ფასი განისაზღვროს 4000 (ოთხიასი) ლარის ოდენობაით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არ გაქვთ რაიმე შენიშვნა მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრებმა მოიწონა და მხარი დაუჭიწა დღის წესრიგით წარმოდგენის მესამე პროექტს, განსაკუთრებით დიდი მოწონება და მზარდაჭერა გამოიჩინა აღნიშნულ საკითხზე ბატონმა ბიჭიკო ბაიკიძემ.

სხვა მოსაზრებები კომისიის წევრებისგან არ დაფიქსირებულა.

მომხრე - 12

წინააღმდეგი - არცერთი

დანართი N5

კომისიის გადაწყვეტილებით დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები მოწონებულია კომისიის მიერ და საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე დასატანად.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგობერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხების

და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე

